საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-111/ნ

2019 წლის 31 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის №01-26/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის №01-26/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 26/03/2019 სარეგისტრაციო კოდი 470230000.22.035.016595) დამტკიცებული №5 დანართის №1 ცხრილის (შეტყობინების, ანგარიშგების და ეპიდკვლევის მოთხოვნები ნოზოლოგიების/მდგომარეობების მიხედვით) 59-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 59^1 გრაფა:

„

59^1	სიფილისის შემთხვევა ორსულებში (შესაძლო/სავარაუდო/დადასტურებული)	–	1 შემთხვევა	1 შემთხვევა

.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ეკატერინე ტიკარაძე**